**ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო**

**სხდომის ოქმი №2**

**თარიღი:** 26 ოქტომბერი, 2026 წელი

**ჩატარების ადგილი:** მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, სხდომათა დარბაზი

**სხდომის ხანგრძლივობა:** 15:00 – 16:00 საათი

**სხდომას თავმჯდომარე:** ლოლიტა ურუშაძე

**სხდომის მდივანი:** ნათია აფხაზავა

**ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:**

1. **ლოლიტა ურუშაძე** — ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია აფხაზავა** — ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანი;
3. **კარლო კვიტაიშვილი** — სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;
4. **ია მოქია** — ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
5. **ნინო მშვიდობაძე** — ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;
6. **ივანე ებრალიძე** — ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;
7. **ირაკლი ცინცაძე** — ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;
8. **სპარტაკ კვაჭაძე** — ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;
9. **ვლადიმერ ნანაძე** — ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;
10. **ტატო ურუშაძე** — საკრებულოს დეპუტატი;
11. **დარეჯან ბურჭულაძე** — ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე.

**მოწვეული სტუმრები:**

1. **რეზო ჩხაიძე** — ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის“ დირექტორი;
2. **ნინო ჩხარტიშვილი** — ფეხბურთელი;
3. **ნინო გუჯაბიძე** — ფეხბურთელი.

**დღის წესრიგი:**

1. გმირთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება და სამოქმედო გეგმის შემუშავება.
2. დღის ცენტრის აღსაზრდელების მონახულების (ვიზიტის) დაგეგმვა და ორგანიზაციული საკითხები.
3. ადგილობრივ ქალთა საფეხბურთო კლუბთან შეხვედრის მომზადება, კითხვარის პროექტის განხილვა და საჭიროებების დადგენის მეთოდოლოგია.

**I. პირველი საკითხის განხილვა**

**მოისმინეს:**

ლოლიტა ურუშაძის მოხსენება გმირის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ღონისძიება არ უნდა იყოს მხოლოდ ფორმალური — ის უნდა მოიცავდეს კულტურულ-საგანმანათლებლო კომპონენტსაც, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვებსა და მოზარდებში ქართველი გმირების შესახებ ცოდნის გავრცელება, ისტორიული მეხსიერების შენარჩუნება და ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს პროექტ „გმირის დღის“ მნიშვნელობაზე, რომლის მიზანია ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება, ქვეყნის ისტორიისა და ეროვნული ღირებულებების მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბება.

განიხილეს პროექტის განხორციელების შესაძლო ფორმატი, დაგეგმილი აქტივობები და ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობა. აღინიშნა, რომ მსგავსი ინიციატივები ხელს შეუწყობს მომავალი თაობის სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარებასა და გმირების ღვაწლის სათანადოდ გააზრებას.

**II. მეორე საკითხის განხილვა**

**მოისმინეს:**

ლოლიტა ურუშაძის ინფორმაცია დღის ცენტრის აღსაზრდელების მონახულების დაგეგმვასთან დაკავშირებით. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ვიზიტის მიზანია ადგილზე ინფრასტრუქტურის, აღსაზრდელების ყოველდღიური გარემოსა და ბავშვთა საჭიროებების შეფასება, ასევე ცენტრის პერსონალთან გასაუბრება.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ვიზიტის დაგეგმვასა და ორგანიზაციულ საკითხებზე, მათ შორის, შეხვედრის ფორმატზე, დაგეგმილ აქტივობებსა და აღსაზრდელებისთვის სასიამოვნო გარემოს შექმნაზე. ხაზი გაესვა ბავშვების

მხარდაჭერის, მათ საჭიროებებზე მორგებული აქტივობების განხორციელებისა და მათი კეთილდღეობის ხელშეწყობის მნიშვნელობას.

**საბჭომ გადაწყვიტა:**

დღის ცენტრში ვიზიტის თარიღად განისაზღვროს **2026 წლის 6 ნოემბერი**.

**III. მესამე საკითხის განხილვა**

**მოისმინეს:**

ლოლიტა ურუშაძემ წარადგინა ინიციატივა ადგილობრივი ქალთა საფეხბურთო კლუბის წევრების საბჭოში მოწვევისა და მათი საჭიროებებისა თუ გამოწვევების დასხდომაზე მოწვეული იყვნენ ქალთა საფეხბურთო კლუბის დირექტორი რეზო ჩხაიძე და კლუბის ორი ფეხბურთელი. მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს კლუბში არსებულ გამოწვევებზე დგენის შესახებ. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი კითხვარის პროექტი.

სხდომაზე მოწვეულნიი იყვნენ ქალთა საფეხბურთო კლუბის დირექტორი რეზო ჩხაიძე და კლუბის ორი ფეხბურთელი. მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს კლუბში არსებულ მდგომარეობასა და გამოწვევებზე.

სხდომის თავმჯდომარემ სტუმრებს დაუსვა ღია კითხვა იმის შესახებ, თუ რა იქნებოდა მათი სამი მთავარი თხოვნა მუნიციპალიტეტის მიმართ, ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ. პასუხად მოწვეულმა სტუმრებმა საბჭოს წევრებს გააცნეს შემდეგი საჭიროებები:

1. ფეხბურთელებისთვის დახურული სპორტული დარბაზის უზრუნველყოფა;
2. არსებული სავარჯიშო სივრცის ტრენაჟორებით აღჭურვა;
3. ფეხბურთელებისთვის შესაბამისი სპორტული ეკიპირების გამოყოფა.

საბჭოს წევრებმა მოისმინეს მოწვეული სტუმრების მოსაზრებები და იმსჯელეს აღნიშნული საჭიროებების მნიშვნელობასა და მათი მოგვარების შესაძლო გზებზე.

**სხდომის თავმჯდომარე:** _____ / ლოლიტა ურუშაძე

**სხდომის მდივანი:** _____ / ნათია აფხაზავა